

საქართველოს კანონი

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 199 წ., №) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 ქვეპუნქტი:

„2. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები ვალდებული არიან მომხმარებელს მოთხოვნისამებრ მიაწოდონ ინფორმაცია და წარუდგინოს ტურისტული და საკურორტო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ტუროპერატორებთან და ტურაგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება ტურისტული პროდუქტის სახეობისა და მისი რეალიზაციის პირობების შესახებ.“

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ქვეპუნქტი:

„3. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები ვალდებული არიან ასევე თვალსაჩინო ადგილზე განათავსონ მათი ტურისტული და საკურორტო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.“

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ ქვეპუნქტი:

„4¹. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები ვალდებული არიან მომხმარებლებს სახელმწიფო ან მომხმარებლისათვის გასაგებ ენაზე წარუდგინონ ტურისტული პროდუქტისა და ტურისტული მომსახურების პაკეტის თაობაზე ზუსტი და ამომწურავი მონაცემები, მათ შორის მონაცემები ტურის ხანგრძლივობის, გადაადგილების მარშრუტის, ტურის დაწყებისა და დასრულების თარიღების, პასპორტსა და ვიზასთან დაკავშირებულ საკითხების, გამგზავრების, ტურის განმავლობაში გადაადგილებისა და ჩამოსვლის სატრანსპორტო საშუალების, განსახლების ტიპის, მომსახურების ხარისხის, კვების, სასტუმროში განთავსების, ღამის თევის, მიმღები ქვეყნის პოლიციის, პირველადი სამედიცინო დახმარების,

შესაბამის ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის საკონტაქტო ტელეფონების, სელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების წესისა და სხვა პირობების თაობაზე).“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი
